დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ბაღის დიზაინი“ და ‘’სამკერვალო წარმოება’’ მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ანთაძე

წევრები:

თამარ ახალაძე - დარგის ექსპერტი (ბაღის დიზაინი);

ხათუნა ფარეიშვილი - დარგის ექსპერტი (სამკერვალო წარმოება);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 212693049

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრაციული წარმოების სახე:

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ გეგმიური
- ☐ არაგეგმიური

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით დანიშნული მონიტორინგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

შენიშვნა: აღნიშნული პროგრამები დაწესებულებამ მიმდინარე წელს დაიმატა და პროგრამებზე მიღება წელს გამოცხადდება. შესაბამისად, ამ ეტაპზე, დაწესებულებას არ ჰყავს აქტიური ან სტატუსშეჩერებული სტუდენტი/ები.

	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ბაღის დიზაინი	30	-	-
სამკერვალო წარმოება	20	-	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 4 ივლისის № 748465 ბრძანების საფუძველზე სსიპ - აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების „ბაღის დიზაინი“ და ‘’სამკერვალო წარმოება’’, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტის "ბ.ბ" კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით, 2022 წლის 14 ივლისს განხორციელდა ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე.

ვიზიტის ფარგლებში, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები, შეიმუშავა დღის წესრიგი, რის მიხედვითაც მოხდა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტების განხილვა, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან გასაუბრება და საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური და სასწავლო რესურსის დათვალიერება.

ექსპერტთა მიერ განხილული დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერებისა და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

წინა წარმოების ფარგლებში, აღნიშნული პროგრამების 2.2 კომპონენტი შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“, გამომდინარე იქედან, რომ პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად არ იყო უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, ხოლო ამასთან დაკავშირებით დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში, დადგინდა, რომ აღნიშნული პრობლემა სრულად იყო აღმოფხვრილი და კომპონენტი 2.2 შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისი“, გამომდინარე აქედან, ორივე პროგრამასთან მიმართებით, სტანდარტი არის სრულად შესაბამისი.

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის ფარგლებში, უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრისთვის გამოყოფილ შენობას, არ ჰქონდა უკაბელო ინტერნეტი და დაწესებულებაში შესაძლებელი იყო მხოლოდ კაბელიანი ინტერნეტით სარგებლობა. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებთან და ადმინისტრაციასთან საუბრისას გაირკვა, აღნიშნული პრობლემა დაახლოებით ერთი თვეა რაც არსებობს, გამომდინარე იქედან, რომ მიმდინარეობს შენობის მოწყობის პროცესი და ასევე დაწყებულია ამ საკითხის მოგვარებაც. ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა, 2022 წლის 27 ივნისის, პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის სამსახურეობრივი ბარათი, როუტერების შეძენის შესახებ და აღნიშნა, რომ უახლოეს ვადებში ეს პრობლემა აღმოფხვრილი იქნება.

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)

მიმდინარე წარმოების მიზნებიდან გამომდინარე, წინა ვიზიტის ფარგლებში, ორივე პროგრამასთან მიმართებით, დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია 2.2 კომპონენტთან მიმართებით, გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულების პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად არ იყო უზრუნველყოფილი მის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, ხოლო ამასთან დაკავშირებით დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ახლანდელი მონიტორინგის ფარგლებში ეს პრობლემა სრულად იყო აღმოფხვრილი.

გარდა ამისა, ექსპერტთა მხრიდან, პროფესიული საგნამანათლებლო პროგრამის ''სამკერვალო წარმოება'' ფარგლებში, დაწესებულებას წინა ვიზიტის ფარგლებში, მიცემული ჰქონდა განმავითარებელი სახის რეკომენდაცია პრაქტიკის ობიექტებთან დაკავშირებით, პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის კუთხით, გარდა ერთი ობიექტისა, დამატებით გაეფორმებინა ხელშეკრულება სხვა პრაქტიკის ობიექტთანაც, რაც დაწესებულების მხრიდან გათვალისწინებულ იქნა. ასევე, ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, რომ მემორანდუმებში დაკონკრეტებულიყო პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, თუ რამდენი სტუდენტის მიღებას შეძლებდნენ ობიექტები. თუმცა, აღნიშნული რეკომენდაცია, ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულების მხრიდან გათვალისწინებული არ იყო.

ასევე, დაწესებულებას, პროფესიული საგნამანათლებლო პროგრამის ''სამკერვალო წარმოება'' ფარგლებში, მიცემული ჰქონდა გამავითარებელი სახის რეკომენდაცია უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით, რომ პროგრამის სახელოსნოში თვალსაჩინოდ გამოეკრა უსაფრთხოების ნორმები. გამომდინარე იქედან, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“, მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ ერთ-ერთი შედეგი მოიცავს ტიპურ სამუშაო გარემოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უსაფრთხოების ნორმების დაცვას. მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში, მატერიალური რესურსისა და სასწავლო გარემოების დათვალიერებისას, ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებაც, რაც დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს.

ამასთანავე, დაწესებულებას, წინა ვიზიტის ფარგლებში, ორივე პროგრამასთან მიმართებით, მიცემული ჰქონდა კიდევ ერთი განმავითარებელი სახის რეკომენდაცია, უზრუნველეყო იმ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის აღჭურვა კომპიუტერებით, სადაც უნდა განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რაც უფრო მოქნილს გახდიდა პროფესიული სტუდენტის ხელმისაწვდომობას მოდულით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო რესურსებზე. აღნიშნული ბიბლიოთეკა მდებარეობს უნივერსიტეტის პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის კორპუსში (ქ. ქუთაისი ი. ჭავჭავაძის გამზ. №21). ახლანდელი ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ჯერჯერობით სრულად არ არის გათვალისწინებული, გამომდინარე იქედან რომ ამ ეტაპზე, მიმდინარეობს აღნიშნული ბიბლიოთეკის კეთილმოწყობა.

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1 – 1 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ''სამკერვალო წარმოება'' მოდული ''საწარმოო პრაქტიკა'' განხორციელდება პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტების ბაზაზე. დარგის ექსპერტის შეფასებით, პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებს შესაძლებლობა აქვთ უზრუნველყონ პროფესიული სტუდენტების მიღება პროგრამით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში, თუმცა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში არ არის დაკონკრეტებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა. მემორანდუმების თანახმად, მხარეებს შორის, თითოეული ჩარიცხვისას, სტუდენტთა ნაკადის მიხედვით, ფორმდება დამატებითი ხელშეკრულება მოდულის ''საწარმოო პრაქტიკის'' გავლის შესახებ, რომელშიც განისაზღვრება პრაქტიკის გავლის ვადები, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა და სხვა დამატებითი საკითხები. ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტთა მიერ, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი სახის *რეკომენდაცია: <u>პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში წინასწარ დაკონკრეტდეს პროფესიულ სტუდენტთა ის რაოდენობა, რაზეც პრაქტიკის ობიექტები გამოთქვამენ მზაობას, რომ საჭიროებისამებრ შეძლებენ მათ უზრუნველყოფას.</u>*

XI. სტანდარტების შეფასება

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ბაღის დიზაინი
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	აწსუ - ს აკადემიური საბჭოს დადგენილება N7(21/22), 09/11/2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი ი. ჭავჭავაძის გამზ. №21

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30 პროფესიული სტუდენტი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		☒
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

დაწესებულებას A და B სასწავლო გარემოებში, გათვალისწინებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო/სამუშაო ადგილების რაოდენობა - 15; პროგრამაში შემავალი ყველა მოდული ხორციელდება უნივერსიტეტის ბაზაზე. პროგრამის ''ბაღის დიზაინი'' ფარგლებში დაწესებულებას არ აქვს პრაქტიკის ობიექტი, რადგან საგანმანათლებლო პროგრამა „ბაღის დიზაინი“ არ ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე სწავლებას. შესაბამისად არ ახორციელებს თანამშრომლობას პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან, საწარმოსთან ან თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ გამოყოფილი სასწავლო გარემო შეადგენს:

A - სასწავლო გარემო - შერჩეულია ერთი აუდიტორია, სადაც განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტისათვის მაგიდა და სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა და სკამი, 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი 1 ცალი, დაფა 1 ცალი.

B სასწავლო გარემო - შერჩეულია 2 აუდიტორია. თითოეულში განთავსებულია მაგიდა და სკამი 15 პროფესიული სტუდენტისათვის, მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, 15 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი 1 ცალი, დაფა 1 ცალი, კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები) 1 ცალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღსანიშნავია, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებას სრულად არ ჰქონდა მობილიზებული პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსი, რასთან დაკავშირებითაც წარმოდგენილი იყო შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და სასწავლო დაწესებულება გეგმავდა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსის მობილიზებას.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ, გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ''ბაღის დიზაინი'' საჭირო მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობა. ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას სრულად აქვს მობილიზებული პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსი. სრულყოფილად შესყიდულია სასწავლო აუდიტორიების/ლაბორატორიის შესაბამისი სასწავლო აღჭურვილობა. ამასთან დაკავშირებით, ასევე წარმოდგენილ იქნა შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და დათვალიერების ანალიზით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით , ერთ ჩარიცხვაზე 15 პროფესიული სტუდენტი, ჯამში 30 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბაღის დიზაინი“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა: სულ - 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 10 დარგობრივი, პროფესიული მოდულების განმახორციელებელი, ხოლო 6 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მასწავლებელთა დატვირთვის შედგენისას გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები და პროგრამაში ჩართული პირების დატვირთვა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები და ხელშეკრულებები. ასევე მოხდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. პროგრამის განმახორციელებლებმა ისაუბრეს მათი საქმიანობისა და გამოცდილების შესახებ. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათი უმრავლესობა უნივერსიტეტთან არსებული ლანდშაფტური არქიტექტურის ჯგუფის „Greeb project star” მონაწილეა და ჩართულია აკადემიური პროგრამების განხორციელებაში. გარდა ამისა, აქვთ მოდულური სწავლების გამოცდილება და ასევე გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგები. ისინი ასევე ჩართულნი იყვნენ მოდულების შემუშავებისა და ადაპტირების პროცესში. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამომდინარე აქედან, დოკუმენტაციის განხილვისა და გასაუბრების საფუძველზე, ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ სტუდენტთა შეფასების კომპეტენცია და მათი კვალიფიკაცია იძლევა პროფესიულ სტუდენტთათვის, მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის განხილვისა და გასაუბრების შედეგებიდან, დგინდება, რომ პროგრამას ,,ბაღის დიზაინი" ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი, რომლის დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება დარგის შესაბამისი განათლებითა და გამოცდილებით („მწვანე მშენებლობის ინჟინერი", „სატყეო სქმის მაგისტრი", უნივერსიტეტთან არსებული არქიტექტურის ჯგუფის „Green projects star" ხელმძღვანელი).

გარდა ამისა, მას აქვს მოდულების სწავლების გამოცდილება და ასევე „ბაღის დიზაინის" პროფესიული პროგრამის ფარგლებში არის რამდენიმე მოდულის განმახორციელებელი. იგი ასევე იყო აღნიშნული პროგრამის დამატების ინიციატორი. ხშირი და აქტიური კომუნიკაცია აქვს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული პროგრამისა და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრაში, დარგში სიახლეების გაცნობა–დანერგვასა და რიგ სხვადასხვა ღონისძიებაში. ზედმიწევნით ერკვევა პროგრამის სპეციფიკაში, იცნობს მოდულების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვალიდაციის პროცედურებს.

გამომდინარე აქედან, ექსპერტთა მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

ინდიკატორის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ, შეფასდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომობა, რის შედეგადაც, დადგინდა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ''ბაღის დიზაინი'' მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და სამკითხველო ოთახში და ასევე ელექტრონულად, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტთათვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, 2013 წლის შემდეგ გამოცემული ბეჭდვური მასალები სრულად არის გაციფრულებული და ყველა მათგანი ხელმისაწვდომია დაწესებულების ელექტრონულ ბიბლიოთეკაში, ხოლო მანამდე გამოცემული მასალები, უფრო მეტად კი შედარებით ძველი გამოცემის, ერთეული სასწავლო რესურსები ასევე ეტაპობრივად ციფრულდება.

ვიზიტისას ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა დაწესებულების ცენტრალური ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის XXII კორპუსში (ქ. ქუთაისი თამარ მეფის №59). ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტკავშირით. აღნიშნულ ბიბლიოთეკაში, გარდა მატერიალური რესურსისა პროფესიულ სტუდენტებს წვდომა აქვთ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ''ბაღის დიზაინი'' ელექტრონულ რესურსებზე. რესურსების ელექტრონული ბაზა, პროფესიული სტუდენტებისთვის, ხელმისაწვდომია დაწესებულების დომეინის მქონე მეილის გამოყენებით. ბიბლიოთეკაში პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ გადამოწმება თუ რომელი სასწავლო რესურსი როგორი სახით არსებობს ბიბლიოთეკაში და ასევე შეუძლიათ გარკვეული დროით წიგნის ელექტრონულად დაჯავშნა, რომ მისთვის შერჩეულ დროს იგი აუცილებლად იყოს ხელმისაწვდომი.

რაც შეეხება, უნივერსიტეტის პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის კორპუსში მდებარე ბიბლიოთეკას, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მისი გარემონტება-კეთილმოწყობა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა. ხოლო პროგრამისთვის საჭირო სასწავლო რესურსები გარდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონული ბიბლიოთეკისა, pdf სახით ჩატვირთულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილ B გარემოში მდებარე კომპიუტერში.

შესაბამისად. დათვალიერების, სასწავლო რესურსების გაცნობისა და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ბაღის დიზაინი“ სასწავლო რესურსი, შესაბამისობაშია აკადემიის მიერ წარმოდგენილ სასწავლო რესურსებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტთათვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

აღნიშნულ პროგრამაზე, პროფესიული სტუდენტების მიღება არ განხორციელებულა, თუმცა, პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან დაკავშირებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს რეგულაცია ''პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი'' და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას.

აღნიშნული რეგულაციის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუშავდება სამიზნე პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების ჯგუფის ჩართულობით და მათი იმ კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, რომელიც ლეგიტიმურია სასწავლო მიზნების განხორციელებისთვის. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილია ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა და სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წესის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდს აქვს ვიზუალური და ხმოვანი ადაპტირების შესაძლებლობა, რომელსაც გააჩნია აუდიო წამკითხველი, კონტრასტის მართვისა და შრიფტის გაზრდის

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულებაში, სსსმ პირებისთვის საჭირო სასწავლო რესურსები ადაპტირებული იქნება მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის ''ბაღის დიზაინი'' განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლისა და ხარჯების ნაწილისგან, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა შესაძლო ხარჯს, პროგრამულ და ინსტიტუციურ დანახარჯებს. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლის ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებას, საჭირო სასწავლო ნედლეულისა და მასალების ღირებულებას, პროგრამის განვითარების ხარჯებსა და კომუნალურ და სხვა საოპერაციო ხარჯებს. პროგრამის ბიუჯეტი ასევე ითვალისწინებს რენტაბელობის ზღვარს, რომელიც შეადგენს 10 პროფესიულ სტუდენტს.

შესაბამისად, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ''ბაღის დიზაინი''
- ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები / კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის 2022 წლის 20 ივნისის N01-04/36 ბრძანებით დამტკიცებული ''პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი''
- დაწესებულების პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის '' ბაღის დიზაინი'' ბიუჯეტი;
- დათვალიერების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სამკერვალო წარმოება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	აწსუ - ს აკადემიური საბჭოს დადგენილება N7(21/22), 09/11/2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი ი. ჭავჭავაძის გამზ. №21

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	20 პროფესიული სტუდენტი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		☒
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

დაწესებულებას პროფესიული პროგრამისთვის ''სამკერვალო საქმე'' განკუთვნილ A, B და C სასწავლო გარემოებში, გათვალისწინებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო/სამუშაო ადგილების რაოდენობა - 10, რისთვისაც გამოყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ გამოყოფილი სასწავლო გარემოები შეადგენს:

A - სასწავლო გარემო - გამოყოფილია ერთი აუდიტორია, რომელშიც განთავსებულია 10 პროფესიული სტუდენტზე გათვლილი მაგიდა და სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მაგიდა, სკამი და კომპიუტერის 1 კომპლექტი, პროექტორი და დაფა.

B სასწავლო გარემო - რომლისთვისაც გამოყოფილია ერთი აუდიტორია. თითოეულში განთავსებულია პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილი მაგიდები, სკამები და კომპიუტერები. პროფესიული მასწავლებლისთვის გამოყოფილი მაგიდა, სკამი და კომიუტერის 1 კომპლექტი, პროექტორი, 15 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის; 1 კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი 1 ცალი, დაფა 1 ცალი, კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები) 1 ცალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

C სასწავლო გარემო - გამოყოფილია 2 აუდიტორია, რომლებშიც განთავსებულია, 10 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი სკამი, სახატავი დაფა დაფის სადგამი, ლაბორატორიული მაგიდა, მიკროსკოპი 2 ცალი, ქსოვილის სისქის მზომი 1 ცალი, ქსოვილის მოფარდვის დასდგენი დისკური დანადგარი 1 ცალი, გრძელი სახაზავი 5 ცალი, საფეიქრო ლუპა 10 ცალი, სპირტქურა 2 ცალი, კოსტრუირების მაგიდა 1 ცალი, მარტინის ტიპის პორტატული ანტროპომეტრი 1 ცალი, ქალის მანეკენი 6 ცალი, მამაკაცის მანეკენი 2 ცალი, პროექტორი 1 ცალი, 1 კომპლექტი კომპიუტერი, სახაზავი ფარდების კომპლექტი, დაფა მარკერით. სრული მანქანებით აღჭურვილი ერთნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საწარმოო საკერავი მანქანა 10 ცალი, სამძაფიანი ჯაჭვური გვირისტის მანქანა 2 ცალი, ხუთძაფიანი რონემსიანი მანქანა სამრეწველო 2 ცალი. ღილკილოს შემსრულებელი მანქანა 1 ცალი.პროგრამული მართვის ნახევრადავტომატური საქარგავი მანქანა, ზიგზაგური ტიპის გვირისტის მანქანა, ფიგურული გვირისტის სპეცმანქანა, მცირე გაბარიტიანი ელექტრონული საგამომჭრელო მანქანა დისკური დანით, საუთოო წნეხი ვაკუუმის გამწოვით 2 ცალი, მიმმართველი თათები 10 ცალი, სარკე, მეტრიანი სახაზავი, ქინძისტავის ნაკრები 10 ცალი, ქარგა 10 ცალი, ნაწარმის გამოსაჭრელი მაგიდა.

პროგრამაში შემავალი ძირითადი მოდულები ხორციელდება, უნივერსიტეტის ბაზაზე, ხოლო პრაქტიკის ობიექტებზე განხორციელდება მოდული ''**საწარმოო პრაქტიკა**''. პროგრამის ''სამკერვალო წარმოება'' ფარგლებში, დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, გაფორმებული აქვს მემორანდუმი სააქციო საზოგადოება სამკერვალო კომპანია „იმერთან". მემორანდუმის მიზანია პროფესიული სტუდენტებისათვის პროფესიული უნარების განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობა. გარდა სამკერვალო კომპანია ''იმერისა'', პრაქტიკული კომპონენტის სწავლების მიზნით, დაწესებულებას დამატებით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ერთ-ერთ ინდმეწარმესთან.

ინდიკატორთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებას სრულად არ ჰქონდა მობილიზებული პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსი, რასთან დაკავშირებითაც წარმოდგენილი იყო შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და სასწავლო დაწესებულება გეგმავდა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსის მობილიზებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ, გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ''სამკერვალო წარმოება'' საჭირო მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობა. ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას სრულად აქვს მობილიზებული პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსი. სრულყოფილად შესყიდულია სასწავლო აუდიტორიების/ლაბორატორიის შესაბამისი სასწავლო აღჭურვილობა. ამასთან დაკავშირებით, ასევე წარმოდგენილ იქნა შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკის ობიექტებზე განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ''სამკერვალო წარმოება'' მოდული საწარმოო პრაქტიკა. დარგის ექსპერტის შეფასებით, პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებს შესაძლებლობა აქვთ უზრუნველყონ პროფესიული სტუდენტების მიღება პროგრამით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში, თუმცა დაწესებულების მიერ, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში არ არის დაკონკრეტებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა. მემორანდუმების თანახმად, მხარეებს შორის, თითოეული ჩარიცხვისას, სტუდენტთა ნაკადის მიხედვით, ფორმდება დამატებითი ხელშეკრულება მოდულის ''საწარმოო პრაქტიკის'' გავლის შესახებ, რომელშიც განისაზღვრება პრაქტიკის გავლის ვადები, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა და სხვა დამატებითი საკითხები. გამომდინარე აქედან, ინდიკატორის ფარგლებში დაწესებულებას, ექსპერტთა მხრიდან, ეძლევა განმავითარებელი სახის რეკომენდაცია, *<u>პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში, წინასწარ დაკონკრეტდეს პროფესიულ სტუდენტთა ის რაოდენობა, რაზეც პრაქტიკის ობიექტები გამოთქვამენ მზაობას, რომ საჭიროებისამებრ შეძლებენ მათ უზრუნველყოფას.</u>*

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და დათვალიერების ანალიზით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, ერთ ჩარიცხვაზე ჯგუფში 10 პროფესიული სტუდენტი, ჯამში 20 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სამკერვალო წარმოება“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა: სულ - 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 10 დარგობრივი, პროფესიული მოდულების განმახორციელებელი და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მასწავლებელთა დატვირთვის შედგენისას გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები და პროგრამაში ჩართული პირების დატვირთვა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები და ხელშეკრულებები. ასევე მოხდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. პროგრამის განმახორციელებლებმა ისაუბრეს მათი საქმიანობისა და გამოცდილების შესახებ. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათი უმრავლესობა ჩართულია აკადემიური პროგრამების განხორციელებაში და გარდა ამისა, აქვთ მოდულური სწავლების გამოცდილება. ასევე გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგები. ისინი ასევე ჩართულნი იყვნენ მოდულების შემუშავებისა და ადაპტირების პროცესში. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამომდინარე აქედან, დოკუმენტაციის განხილვისა და გასაუბრების საფუძველზე, ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ სტუდენტთა შეფასების კომპეტენცია და მათი კვალიფიკაცია იძლევა პროფესიულ სტუდენტთათვის, მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის განხილვისა და გასაუბრების შედეგებიდან, დგინდება, რომ პროგრამას ''სამკერვალო წარმოება'' ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი, რომლის დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება დარგის შესაბამისი კვალიფიკაციით. დამთავრებული აქვს ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის „სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგიის'' სპეციალობა და მინიჭებული აქვს ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაცია. გარდა ამისა, მას აქვს მოდულების სწავლების გამოცდილება და ასევე „სამკერვალო წარმოების" პროფესიული პროგრამის ფარგლებში არის რამდენიმე მოდულის განმახორციელებელი.

იგი ასევე იყო აღნიშნული პროგრამის დამატების ინიციატორი. ხშირი და აქტიური კომუნიკაცია აქვს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული პროგრამისა და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრაში, დარგში სიახლეების გაცნობა–დანერგვასა და რიგ სხვადასხვა ღონისძიებაში. ზედმიწევნით ერკვევა პროგრამის სპეციფიკაში, იცნობს მოდულების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვალიდაციის პროცედურებს.

გამომდინარე აქედან, ექსპერტთა მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ინდიკატორის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ, შეფასდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომობა, რის შედეგადაც, დადგინდა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ''სამკერვალო წარმოება'' მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და სამკითხველო ოთახში და ასევე ელექტრონულად, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტთათვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, 2013 წლის შემდეგ გამოცემული ბეჭდვური მასალები სრულად არის გაციფრულებული და ყველა მათგანი ხელმისაწვდომია დაწესებულების ელექტრონულ ბიბლიოთეკაში, ხოლო მანამდე გამოცემული მასალები, უფრო მეტად კი შედარებით ძველი გამოცემის, ერთეული სასწავლო რესურსები ასევე ეტაპობრივად ციფრულდება.

ვიზიტისას ექსპერტებთა მიერ დათვალიერებულ იქნა დაწესებულების ცენტრალური ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის XXII კორპუსში (ქ. ქუთაისი თამარ მეფის №59). ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტკავშირით. აღნიშნულ ბიბლიოთეკაში, გარდა მატერიალური რესურსისა პროფესიულ სტუდენტებს წვდომა აქვთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ''სამკერვალო წარმოება'' ელექტრონულ რესურსებზე. რესურსების ელექტრონული ბაზა, პროფესიული სტუდენტებისთვის, ხელმისაწვდომია დაწესებულების დომეინის მქონე მეილის გამოყენებით. ბიბლიოთეკაში პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ გადამოწმება თუ რომელი სასწავლო რესურსი როგორი სახით არსებობს ბიბლიოთეკაში და ასევე შეუძლიათ გარკვეული დროით წიგნის ელექტრონულად დაჯავშნა, რომ მისთვის შერჩეულ დროს იგი აუცილებლად იყოს ხელმისაწვდომი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაც შეეხება, უნივერსიტეტის პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის კორპუსში მდებარე ბიბლიოთეკას, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მისი გარემონტება-კეთილმოწყობა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა. ხოლო პროგრამისთვის საჭირო სასწავლო რესურსები გარდა ელექტრონული ბიბლიოთეკისა, pdf სახით ჩატვირთულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილ B გარემოში მდებარე კომპიუტერში.

შესაბამისად. დათვალიერების, სასწავლო რესურსების გაცნობისა და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ სასწავლო რესურსი, შესაბამისობაშია აკადემიის მიერ წარმოდგენილ სასწავლო რესურსებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტთათვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

აღნიშნულ პროგრამაზე, პროფესიული სტუდენტების მიღება არ განხორციელებულა, თუმცა, პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან დაკავშირებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს რეგულაცია ''პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი'' და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას.

აღნიშნული რეგულაციის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუშავდება სამიზნე პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების ჯგუფის ჩართულობით და მათი იმ კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, რომელიც ლეგიტიმურია სასწავლო მიზნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებისთვის. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილია ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა და სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. წესის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდს აქვს ვიზუალური და ხმოვანი ადაპტირების შესაძლებლობა, რომელსაც გააჩნია აუდიო წამკითხველი, კონტრასტის მართვისა და შრიფტის გაზრდის

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულებაში, სსსმ პირებისთვის საჭირო სასწავლო რესურსები ადაპტირებული იქნება მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის ‘’ბაღის დიზაინი’’ განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლისა და ხარჯების ნაწილისგან, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა შესაძლო ხარჯს, პროგრამულ და ინსტიტუციურ დანახარჯებს. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლის ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებას, საჭირო სასწავლო ნედლეულისა და მასალების ღირებულებას, პროგრამის განვითარების ხარჯებსა და კომუნალურ და სხვა საოპერაციო ხარჯებს. პროგრამის ბიუჯეტი ასევე ითვალისწინებს რენტაბელობის ზღვარს, რომელიც შეადგენს 8 პროფესიულ სტუდენტს.

შესაბამისად, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ''სამკერვალო წარმოება''
- ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები / კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის 2022 წლის 20 ივნისის N01-04/36 ბრძანებით დმტკიცებული ''პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი''
- დაწესებულების, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო, მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმი
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის '' სამკერვალო წარმოება'' ბიუჯეტი;
- დათვალიერების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი: 09.08.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: